ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97253592**

თარიღი:**25/12/2025**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 12კვ.მ ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე - თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ,,23“ დეკემბრის N96-962535721 მომართვის თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველ სართულზე განთავსებული 12კვ.მ ფართის ერთი წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის.

საფუძველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირის-იურიდიული დახმარების სამსახურის 2025 წლის 8-დეკემბრის N-LA 42500046510 წერილი.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით .

მუხლი 4 . განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე .

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი